



Linguist Kangaroo 2015

„ლინგვისტ კენგურუ 2015”

საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების ღირსშესანიშნაობა

ძვირფასო კოლეგებო,

ჩვენი ორგანიზაციის მიერ ახლახან ჩატარებული კვლევების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრ მოსწავლეს არ აქვს ინფორმაცია საერთაშორისო კონკურს „ლინგვისტ კენგურუს“ შესახებ, შესაბამისად, არ იციან კონკურსის ჩატარების თარიღიც;

ინგლისური ენის პედაგოგთა თხოვნით და საერთაშორისო ორგანიზაციებთან(SIGMA,...) შეთანხმებით, გადავწყვიტეთ შევცვალოთ კონკურსის ჩატარების დღე.

ამრიგად, გაცნობებთ, რომ საერთაშორისო კონკურსი „ლინგვისტ კენგურუ“ (ინგლისურ ენაში) ჩატარდება **2015 წლის 16 მაისს, 12 საათზე**, საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში; კონკურსში მონაწილეობას მიიღებს ნებისმიერი სკოლის **III - XII** კლასის მოსწავლე;

„ლინგვისტ კენგურუ“ ერთ-ერთი საუკეთესო შემეცნებითი ევროპული კონკურსია!

ძვირფასო დირექტორებო, გთხოვთ, გამოიჩინოთ კეთილი ნება და თქვენს მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მათს მშობლებს გადასცეთ ინფორმაცია საერთაშორისო კონკურს „ლინგვისტ კენგურუს“ შესახებ, რითაც დიდ დახმარებას გაუწევთ მათ - მისცემთ შანსს თავი გამოიჩინონ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში!

ასოციაცია „ბალავარს“ რომ რეალურად შეუძლია ნიჭიერი მოსწავლეებისათვის ფართო გზის მიცემა, ამაში დასარწმუნებლად გადადით წერილში მითითებულ ლინკზე, საიდანაც მიიღებთ ინფორმაციას ჩვენ მიერ ორგანიზებულ კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების ევროპაში წარმატებების შესახებ.

7 აპრილს **EUROMATH 2015**-ის ფინალისტები მიიღო **საქართველოს პრემიერ-მინისტრმა**, გულთბილად ესაუბრა და დაასაჩუქრა კიდევ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველები ყურადღებით უნდა გაეცნონ ქვემოთ წარმოდგენილ კითხვა-პასუხებს:

1. რომელ საგანში ტარდება „ლინგვისტ კენგურუ“?

- ინგლისურ ენაში.

2. ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება „ლინგვისტ კენგურუში“?

- ნებისმიერი სკოლის მოსწავლეს **მე-3-დან მე-12** კლასების ჩათვლით.

3. როდის ჩატარდება „ლინგვისტ კენგურუ“?

- 16 მაისს, 12 საათზე.

4. სად ჩატარდება „ლინგვისტ კენგურუ“?

- თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, კერძოდ:

ქუთაისში, ბათუმში, ლანჩხუთში, წალენჯიხაში, ჭიათურაში, თელავში, ხაშურში, ბოლნისში, ახალქალაქში, საგარეჯოში, წალკაში; დასაშვებია კონკურსის ჩატარება სხვა რაიონებშიც, სადაც მონაწილეთა რაოდენობა მიაღწევს 80-ს.

შენიშვნა: სასურველია, წინასწარ იცოდეთ, რომ იმ რაიონებში, სადაც მონაწილეთა რაოდენობა არ მიაღწევს 80-ს და მოსწავლეებს უკვე გადახდილი ექნებათ თანხა, ორ ვარიანტს ვთავაზობთ:



ა) კონკურსში მონაწილეობა მიიღონ მეზობელ რაიონში (ნამდვილად ღირს „ლინგვისტ კენგურუში“ მონაწილეობის მისაღებად მეზობელ რაიონში გამგზავრება!);

ბ) თუ „ა“ პუნქტში მოცემული პირობა არ მოგწონთ, მაშინ გადახდილი თანხა აუცილებლად დაგიბრუნდებათ, რისთვისაც ანგარიშის ნომერი უნდა გამოგზავნოთ ელ-ფოსტით.

5. რა არის საჭირო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?

- კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, მსურველმა გადაიხადოს სარეგისტრაციო შესატანი **15 ლარი**(ქვემოთ იხილეთ ბანკის რეკვიზიტები) და შემდეგ აუცილებლად გაიაროთ რეგისტრაცია ჩვენს ვებ გვერდზე(დამატებითი ცნობები იხილეთ ქვემოთ).

6. როდის იწარმოებს „ლინგვისტ კენგურუს“ რეგისტრაცია?

- **კონკურსის თარიღის შეცვლასთან დაკავშირებით, კონკურსზე რეგისტრაციის ვადაც გაგრძელდება;**

გირჩევთ, თუ გადაწყვეტილი გაქვთ კონკურსში მონაწილეობის მიღება, ნუ დაელოდებით რეგისტრაციის ვადის ბოლო დღეს, დროულად დარეგისტრირდით!

7. რამდენი ტურია „ლინგვისტ კენგურუსში“?

- **მხოლოდ ერთი** - სწორედ ამ ტურში ვლიდებიან გამარჯვებულები კატეგორიების(კლასების) მიხედვით!

8. რამდენი ლარია სარეგისტრაციო გადასახადი?

- 15(თხუთმეტი) ლარი.

9. რა არის გამარჯვებულთა მთავარი ჯილდო?

- **საერთაშორისო სტანდარტებით გამარჯვებული მონაწილე(12 წლის ასაკიდან) ჯილდოვდება ევროპის ზაფხულის საერთაშორისო ბანაკის საგზურით!**

დამატებითი ცნობები რეგისტრაციის შესახებ:

- ბანკში თანხის გადახდის შემდეგ აუცილებლად უნდა გაიაროთ რეგისტრაცია ჩვენს საიტზე. წესები იხილეთ ჩვენი საიტის მთავარ გვერდზე ლინკში „რეგისტრაციის წესები“; თუ სარეგისტრაციო ველების შევსებისა და სარეგისტრაციო დილაკზე თითის დაჭერის შემდეგ მიიღებთ ინფორმაციას: „თქვენ წარმატებით გაიარეთ რეგისტრაცია“, არ შეიტანოთ ეჭვი მის სისწორეში, არ გაიაროთ რეგისტრაცია ხელმეორედ!

ამასთანავე, **გაითვალისწინეთ:** დარეგისტრირებული მონაწილეები დამატებით შეტყობინებას კონკურსის ჩატარების თარიღის, დროის ან ჩატარების ადგილის შესახებ **არ მიიღებენ** არც ელ-ფოსტით და არც SMS-ის საშუალებით. ინფორმაციას ასეთ საკითხებზე იხილავთ ჩვენს ვებ გვერდზე.

კონკურსზე მონაწილეთა დაშვების დამადასტურებელი დოკუმენტი ბანკის ქვითარი იქნება!

თბილისელმა მოსწავლეებმა ბანკის ქვითრის უკანა მხარეს ჩაწერეთ:

საბაზო სკოლის მისამართი(ანუ იმ სკოლის მისამართი, სადაც ჩატარდება კონკურსი) და ინფორმაცია კონკურსზე თქვენი სამუშაო ადგილის შესახებ(სართული შენობაში და საკლასო ოთახის ნომერი). ამ ინფორმაციას თბილისელი მოსწავლეები გაეცნობიან არაუგვიანეს 15 მაისისა, „მონაწილეთა განთავსების გრაფიკში“.

სხვა ქალაქებისა და რაიონების მოსწავლეებმა ბანკის ქვითრის უკანა მხარეს ჩაწერეთ:

მხოლოდ საბაზო სკოლის მისამართი, სადაც ჩატარდება კონკურსი.

ჩვენი ვებსაიტის მეშვეობით თქვენ არაუგვიანეს 14 მაისისა, მიიღებთ ინფორმაციას საბაზო სკოლის მისამართის შესახებ.

მვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, გთხოვთ, მოუწოდოთ თქვენს აღსაზრდელებს, დროულად გაიარონ რეგისტრაცია „ლინგვისტ კენგურუსზე“, რადგან იგი 14 მაისს მთავრდება!



ძვირფასო ბავშვებო, ახალგაზრდებო,
„ლინგვისტ კენგურუს“ შესახებ ინფორმაცია გადაეცით თქვენს თანაკლასელებს, თანასკოლელებსა და ნაცნობებს, „დაალაიქეთ“ ფეისბუქზე, რადგან, რაც მეტი იქნება კონკურსის მონაწილე, მით უფრო იზრდება ევროპის ზაფხულის საერთაშორისო ბანაკებში დამატებითი ადგილები საქართველოს გუნდისათვის!

ასოციაცია „ბალავარის“ საბანკო რეკვიზიტები:

მიმღები ბანკი - სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი - BAGAGE22

მიმღების დასახელება - ა(ა)იპ „საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაცია - ბალავარი“

მიმღების ანგარიშის ნომერი - GE40BG0000000617602000

საიდენტიფიკაციო კოდი - 400040497

www.balavarigeorgia.ge

E-mail: kangouroi2015@mail.ru

T: (032) 238 35 05 // 577 54 73 55 // 574 10 62 33